1 არა სიღარიბეს
2 არა შიმშილს
3 ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
4 ხარისხიანი განათლება
5 გენდერული თანასწორობა
6 სუფთა წყალი და სანიტარია
7 ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია
8 ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა
9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა
10 შემცირებული უთანასწორობა
11 ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
12 გონივრული მოხმარება და წარმოება
13 კლიმატის მდგრადობის მიღწევა
14 წყალქვეშა რესურსები
15 დედამიწის ეკოსისტემები
16 მშვიდობა სამართლიანობა ძლიერი ინსტიტუციები
17 თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის
მდგრადი განვითარების ქეზნები

AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

CENN
Caucasus Environmental NGO Network

ეს შენი მიზნების წიგნია. და არა მარტო...
შენს მიზნებს ბევრი საერთო აქვს სხვებთანაც.

პირველ რიგში, ოჯახის წევრებთან; მერე – მეგობრებსა და კლასელებთან; ასევე – სოფელთან, ქალაქთან და თუნდაც მთელ ქვეყანასთან; რა თქმა უნდა, შენს თაობასთან და მსოფლიოსთანაც კი.

ისიც ფაქტია, რომ ჩვენს მიზნებსა და ინტერესებს სხვებიც უნდა ითვალისწინებდნენ.

ეს წიგნი კიდევ ათასობით შენს თანატოლს გადაეცა და შენ მსგავსად მათაც ახლახან გადაშალეს.

ასე რომ, შეგვიძლია მიზნები გავაერთიანოთ და ჩვენი დღის წესრიგი შევქმნათ – ჩვენი უკეთესი მომავლისთვის! წინ ხომ **„ნიკო კეცხოველი 2019“**–ია, რომელიც თანამშრომლობის, ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების არაერთ შესაძლებლობას მოგვცემს.

საერთო მიზნების გარშემო უკვე მთელი მსოფლიო თანხმდება. 2015 წლის 25 სექტემბერს გაერო-ს 193 წევრმა ქვეყანამ მიიღო სახელმძღვანელო დოკუმენტი - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“.

დოკუმენტი 17 მიზანსა და 169 ამოცანას მოიცავს (მივუთითოთ ბმული), ყველა თანამედროვე გამოწვევას პასუხობს, პირველ რიგში, გარემოს დაცვაში, რაც ჩვენი კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა.

ასე რომ, თამამად ჩამოაყალიბე საკუთარი მიზნები, მოარგე „მდგრადი განვითარების დღის წესრიგს“ და გადადგი ნაბიჯი მათი შესრულებისკენ.

დაგვიკავშირდი:

Greenwatch@cenn.org
(995 32) 275 19 03

საქართველოს პარლამენტი

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას.

ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები არის შედეგი სამ წლიანი გამჭვირვალე მონაწილეობრივი პროცესისა, სადაც ისმის ყველა დაინტერესებული მხარისა და ადამიანის ხმა. ეს არის უპრეცედენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. ამ მიზნების განხორციელების აუცილებლობას მხარს უჭერენ მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესი, პარლამენტარები. გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებულ იქნა გაერო-ს წევრი ქვეყნების მიერ, გაერო-ს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა.

სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

სიღატაკის ყველა ფორმის აღმოფხვრა 2030 წლისათვის. დიახ, ეს ამბიციური მიზანია - მაგრამ გვჯერა, რომ მისი მიღწევა შესაძლებელია. 2000 წელს მსოფლიომ აიღო ვალდებულება 15 წელიწადში სიღარიბის ნახევრამდე შემცირების შესახებ, და ჩვენ მივაღწიეთ ამ მიზანს. თუმცა, მთელ მსოფლიოში 800 მილიონზე მეტი ადამიანის შემოსავალი ახლაც არ აღემატება დღეში 1.25 დოლარს. რაც ნიშნავს, რომ ევროპის მთელი მოსახლეობის ექვივალენტური რაოდენობის ადამიანები სიღატაკეში ცხოვრობენ. ახლა დროა არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით ერთად აღმოვფხვრათ სიღარიბე.

მიზანი 2

როგორ შეუწყობდი ხელს მდგრად სოფლის მეურნეობას შენს გარშემო, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების უზრუნველყოფას ან შიმშილის აღმოფხვრას?

შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

გასული 20 წლის განმავლობაში შიმშილი თითქმის ნახევრამდე შემცირდა მთელ მსოფლიოში. ბევრი ქვეყანა, სადაც ადამიანები არასრულფასოვანი კვებისა და შიმშილის გამო იტანჯებოდნენ, ახლა ახერხებს ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის კვებითი საჭიროების დაკმაყოფილებას. ეს დაუჯერებელი მიღწევაა. ახლა შეგვიძლია, უფრო შორს წავიდეთ და ყველგან აღმოვფხვრათ შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების პრობლემა. ეს კი ნიშნავს ისეთ საქმიანობას, როგორიც სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია და მცირე ფერმერთა ხელშეწყობაა. ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ, ყოველი ცხრიდან 1 ადამიანისათვის, რომელიც მშიერი იძინებს. წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც მთელი წლის განმავლობაში ყველას მიუწვდება ხელი საკმარისი რაოდენობისა და კვებითი ღირებულების საკვებზე. ერთად ჩვენ ამას რეალობად ვაქცევთ 2030 წლისათვის.

მიზანი 3

რა მაგალითს მისცემდი შენს მეგობრებს, რომელთაც უნდათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება თავიანთ ცხოვრებაში?

ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ჩვენ ყველამ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია კარგი ჯანმრთელობა. მას გავლენა აქვს ჩვენი მუშაობის შესაძლებლობებზე, და საერთოდ, ცხოვრების ხარისხზე. სწორედ ამიტომ განისაზღვრა მიზანი ყველა ადამიანის ჯანმრთელობის და მედიკამენტებსა და აცრებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ. 1990 წლიდან მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ - ბავშვთა სიკვდილიანობა ნახევარზე მეტად შემცირდა და თითქმის ასეთივე მაჩვენებელია დედათა გარდაცვალების სფეროში. თუმცა სხვა მაჩვენებლები კვლავაც ტრაგიკულად მაღალია, მაგალითად: ყოველ წელს 6 მილიონზე მეტი ბავშვი კვდება თავის მეხუთე დაბადების დღემდე, აფრიკის საჰარაში შიდსი მოზარდთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია. ჩვენ გვაქვს საშუალება, შემოვაბრუნოთ ეს პროცესები, რომ და კარგი ჯანმრთელობა არ დარჩეს მხოლოდ სურვილად.

მიზანი 4

რა არის შენი როლი ყველასათვის
თანასწორი განათლებისა და სწავლის
შესაძლებლობის უზრუნველყოფაში?

ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

პირველ რიგში, ცუდი ამბები განათლების შესახებ: სიღარიბე, შეიარაღებული კონფლიქტები და სხვა საგანგებო სიტუაციები მთელ მსოფლიოში ძალიან ბევრ ბავშვს ტოვებს სკოლის მიღმა. რეალურად, განვითარებად რეგიონებში უღარიბესი ოჯახების შვილებს სკოლის მიღმა დარჩენის ოთხჯერ მეტი ალბათობა აქვთ, ვიდრე მდიდარ ოჯახებში მცხოვრებთ. ახლა კი კარგ ამბებს მოგახსენებთ: 2000 წლიდან არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა მსოფლიოს ყველა ბავშვის დაწყებითი განათლებით უზრუნველყოფის მიმართულებით. პირველად განათლებაში ჩართული ბავშვების რაოდენობამ განვითარებად რეგიონებში 91%-ს მიაღწია. ეს მაჩვენებელი კარგია ნებისმიერი სკოლისათვის. მოდით, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ უკეთესი მაჩვენებელი გვქონდეს ყველა ბავშვის პირველად და საშუალო განათლებაში ჩართულობის, ხელმისაწვდომი პროფესიული სწავლების, უმაღლეს განათლებაზე წვდომისა და სხვა თვალსაზრისით.

მიზანი 5

შენ რას აკეთებ გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით?

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მსოფლიოში აღმშენებლობისა და სამართლიანობის მიმართულებით მიღწეული დიდი პროგრესი; და მაინც, გოგონები და ქალები კვლავ არათანაბარ პირობებში რჩებიან. დიდია უთანასწორობა დასაქმებისა და ხელფასის თვალსაზრისით, კვლავ აუნაზღაურებელია „ქალის შრომა“, რაც გულისხმობს ბავშვის მოვლასა და ოჯახის საქმეს, არსებობს დისკრიმინაცია აგრეთვე საზოგადოებრივი გადაწვეტილებების მიღებისას. თუმცა იმედის მომცემია, რომ ახლა მეტი გოგოა სკოლაში 2000 წელთან შედარებით. რეგიონების უმრავლესობამ უზრუნველყო გენდერული თანასწორობა დაწყებით სკოლაში. იზრდება იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც შრომა უნაზღაურდებათ. მდგრადი განვითარების მიზნები ითვალისწინებს ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერ ადგილზე აღმოფხვრას. ეს ადამიანის ძირითადი უფლებაა.

მიზანი 6

რა საჭიროებას ხედავ წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის კუთხით შენს გარშემო?

წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

დედამიწაზე ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი უსაფრთხო სასმელ წყალზე. ეს არის მიზანი 2030 წლისათვის. მიმუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ბევრი ადამიანია უზრუნველყოფილი სუფთა სასმელი წყლითა და სანიტარიით, ასევე ბევრია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლეთაც ამაზე წვდომა არა აქვთ. წყლის სიმცირე მსოფლიოს მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტის პრობლემაა, და ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება კლიმატის ცვლილების შედეგად. თუ ჩვენ ამავე გზით სვლას განვაგრძობთ, 2050 წლისათვის წყლის ნაკლებობა, სულ მცირე ,ოთხიდან ერთი ადამიანის პრობლემა გახდება. თუმცა შეგვიძლია ავირჩიოთ ახალი გზა - მეტი საერთაშორისო თანამშრომლობა, ჭაობებისა და მდინარეების დაცვა, წყლის გაწმენდის ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გაზიარება და სხვა, - ეს ყველაფერი ამ მიზნის შესრულებისკენ წაგვიყვანს.

მიზანი 7

შენი აზრით, რა არის საჭირო საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად?

ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა

1990 – 2010 წლებში 1.7 მილიარდით გაიზარდა ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის მქონე ადამიანების რიცხვი. ეს პროგრესი ნამდვილად საამაყოა; და მაინც, რაკი მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ზრდას განაგრძობს, მეტ ადამიანს სჭირდება იაფი ენერგია სახლებისა და ქუჩების გასანათებლად, ტელეფონებისა და კომპიუტერების მოხმარებისა და ყოველდღიური საქმიანობისათვის. მნიშვნელოვანია, თუ რა გზით ვიღებთ ენერგიას; წიაღისეული საწვავი და სითბური გაზის ემისია მკვეთრად ცვლის კლიმატს და იწვევს დიდ პრობლემებს ყველა კონტინენტზე. ნაცვლად ამისა, შეგვიძლია, უფრო ენერგოეფექტიანნი გავხდეთ და ინვესტიცია განვახორციელოთ სუფთა წყაროების მიმართულებით, როგორიცაა: მზისა და ქარის ენერგია. ამ გზით დავაკმაყოფილებთ მოთხოვნას ელექტროენერგიაზე და იმავდროულად დავიცავთ გარემოს. რას იტყვით ასეთ ბალანსზე?

მიზანი 8

როგორ გგონია, რა არის საჭირო სტაბილური ეკონომიკისა და სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად შენს გარშემო?

სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სამუშაო, რომელიც ადამიანს აძლევს საკუთარი თავისა და ოჯახის მოვლის საშუალებას. კარგია, რომ საშუალო კლასი მთელ მსოფლიოში იზრდება - ის ბოლო 25 წლის განმავლობაში განვითარებად ქვეყნებში გასამმაგდა და მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტი შეადგინა. თუმცა 2015 წელს უთანასწორობამ იმატა, რადგან სამუშაო ადგილების რაოდენობა არ იზრდება სამუშაო ძალის პროპორციულად - შესაბამისად, 200 მილიონ ადამიანს არ აქვს სამუშაო. ეს რაოდენობა ბრაზილიის მთელი მოსახლეობის აოდენობის ექვივალენტურია. ეს ძალიან ცუდი მოვლენაა და სრულიად შეუსაბამო ჩვენი საუკუნისთვის, ჩვენ შეგვიძლია, გავატაროთ პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს მეწარმეობასა და სამუშაო ადგილების შექმნას. ჩვენ შეგვიძლია, აღმოვფხვრათ იძულებითი შრომა, მონობა და ადამიანების ტრეფიკინგი; და 2030 წლისათვის მივაღწიოთ მიზანს ყველა ქალისა და მამაკაცისათვის ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფის სფეროში.

მიზანი 9

რატომ არის საჭირო ინოვაციების ხელშეწყობა?

მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა

ტექნოლოგიური პროგრესი გვეხმარება, გავუმკლავდეთ ისეთ დიდ გლობალურ გამოწვევებს როგორიცაა სამუშაო ადგილების შექმნა და ენერგოეფექტიანობა. ინტერნეტმა უკეთ დაა-კავშირა და უფრო წარმატებული გახადა მსოფლიო. რაც უფრო მეტად ვუკავშირდებით ერთმანეთს, ყველას უკეთ შეგვიძლია, ვისარგებლოთ მსოფლიოში დაგროვილი ცოდნითა და ადამიანების მიერ შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. და მაინც ოთხ მილიონ ადამიანს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, რომელთა დიდი უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. რაც უფრო მეტ ინვესტიციას განვახორციელებთ ინოვაციასა და ინფრასტრუქტურაში, მით უფრო უკეთ ვიქნებით ყველა. ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა, მდგრადი მრეწველობის მხარდაჭერა და სამეცნიერო კვლევებში ინვესტირება მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი გზებია.

მიზანი 10

შენ რას აკეთებ უთანასწორობის შემცირებისთვის?

უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

დედამიწაზე უთანასწორობის არსებობა ახალი ამბავი არ არის და ისიც, რომ განაწილება სამართლიანი არასოდეს ყოფილა. ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ შევუქმნათ ერთნაირი შესაძლებლობა ყველას, განურჩევლად ვინაობისა და წარმომავლობისა. არათანაბარი შემოსავალი გლობალური პრობლემაა, რომელიც გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს გულისხმობს ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირების გაუმჯობესებას, განვითარების ხელშეწყობას იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო, აგრეთვე გულისხმობს ადამიანების დახმარებას, გადაადგილდნენ უსაფრთხოდ შესაძლებლობების კვალდაკვალ. სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით დიდ პროგრესს მივაღწიეთ ბოლო 15 წლის განმავლობაში, ახლა შეგვიძლია შევცვალოთ უთანასწორობის ძველი ისტორია.

მიზანი 11

როგორ გგონია, რატომ არის მნიშვნელოვანი ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება?

ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

თუ თქვენ ადამიანთა უმრავლესობის მსგავსი ხართ, თქვენ ქალაქში ცხოვრობთ. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ახლა ქალაქებში ცხოვრობს და 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით ორ მესამედს მიაღწევს. ქალაქები იზრდება. 1990 წელს ათი „მეგაქალაქი“ არსებობდა, 10 მილიონი ან ცოტა მეტი მცხოვრებით. 2014 წელს უკვე 28 მეგაქალაქი იყო, სადაც 453 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. წარმოუდგენელია? ბევრ ადამიანს უყვარს ქალაქი, აქ არის კულტურისა და ბიზნესის ცენტრები, აქ არის ცხოვრება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალაქი ხშირად სიღატაკის ცენტრია. ქალაქების მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა შევქმნათ კარგი, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი საცხოვრებელი. ჩვენ შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ ღარიბ უბნებში ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებას; ინვესტიცია განვახორციელოთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, შევქმნათ მწვანე სივრცეები და მეტი ადამიანი ჩავრთოთ ურბანული დაგეგმვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამგვარად შევძლებთ, შევინარჩუნოთ ის, რაც მოგვწონს ქალაქში და შევცვალოთ, რაც არ მოგვწონს.

მიზანი 12

შენი აზრით, რას გულისხმობს მდგრადი მოხმარება და წარმოება? გაიგე, ვინ არის #მწვანემომხმარებელი

მდგრადი მოხმარება და წარმოება

ზოგი ადამიანი ბევრს მოიხმარს, ზოგი კი - ძალიან ცოტას. რეალურად მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მოხმარება იმდენად მცირეა, რომ მისი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაც ვერ ხდება. ასეთი რამ მიუღებელია. ჩვენ შეგვიძლია, გვქონდეს სამყარო, სადაც ყველა შეძლებს მიიღოს ყველაფერი, რაც საჭიროა არსებობისა და წარმატებისათვის. ჩვენ ისე უნდა განვსაზღვროთ ჩვენი საჭიროებების დაკმაყოფილების გზები და მოხმარების პროცესი, რომ ამავდროულად დავიცვათ ბუნებრივი რესურსები, რათა ჩვენს შემდეგ მომავალმა თაობებმაც შეძლონ მათით სარგებლობა. რთულია ამ მიზნის განსაზღვრა, ჩვენ შეგვიძლია, უფრო ეფექტიანად ვმართოთ ბუნებრივი რესურსები და უკეთ გავიტანოთ ტოქსიკური ნარჩენები, გლობალურად გავანახევროთ საკვების ნარჩენები ერთ სულზე, ვიზრუნოთ იმაზე, რომ ბიზნესმა და მომხმარებელმა შეამცირონ ნარჩენები და დაამკვიდრონ მეორადი გადამუშავების პროცესი. და დავეხმაროთ ქვეყნებს, რომლებიც, ჩვეულებრივ ბევრს არ მოიხმარენ, დაამკვიდრონ პასუხისმგებლიანი მოხმარების ტენდენცია.

მიზანი 13

რა წვლილი შეაქვს შენს რეგიონს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში?

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

ყველა ქვეყანა მეტ-ნაკლებად განიცდის კლიმატის ცვლილების გავლენას. ზოგი მეტად ზოგი ნაკლებად. მიწისძვრებით, ცუნამებით, ტროპიკული ციკლონებითა და წყალდიდობით გამოწვეული წლიური დანაკარგი საშუალოდ მილიარდობით დოლარს შეადგენს. ჩვენ შეგვიძლია სიცოცხლის დანაკარგისა და სიღარიბის შემცირება, თუ დავეხმარებით ისეთ მოწყვლად რეგიონებს, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ ან კუნძულოვანი სახელმწიფოები, გახდნენ უფრო მდგრადები. გლობალური დათბობის გავლენა სულ უფრო მძიმე ხდება; იმატებს შტორმები, გვალვები და სხვა ექსტრემალური მოვლენები. პოლიტიკური ნებისა და ტექნოლოგიური ზომების მეშვეობით შესაძლებელია, შეიზღუდოს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა ორი გრადუსი ცელსიუსით პრეინდუსტრიული დონის ზემოთ და ამით კლიმატის ცვლილების გავლენის დამძიმებისათვის თავის არიდება. მდგრადი განვითარების მიზნები ქვეყნებისათვის განსაზღვრავენ ერთობლივ ღონისძიებებს ამ მნიშვნელოვან გამოწვევასთან გასამკლავებლად.

მიზანი 14

რატომ არის შენი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება შემდეგი განვითარებისათვის?

ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება განვითარებისათვის

ოკეანე - მისი ტემპერატურა, ქიმიური შედგენილობა, დინება, მასში არსებული სიცოცხლის ფორმები განსაზღვრავენ შესაძლებელს ხდიან ადამიანის არსებობას. სამ მილიონზე მეტი ადამიანის საარსებო წყაროა დამოკიდებული საზღვაო და სანაპირო მრავალფეროვნებაზე, მაგრამ დღეისათვის მსოფლიოს თევზის მარაგის დაახლოებით მესამედი გადაჭარბებით არის მოხმარებული. ეს არ არის ცხოვრების მდგრადი საშუალება. ის ადამიანებიც კი, რომლებიც საერთოდ არ ცხოვრობენ ოკეანის ახლოს, ვერ იარსებებენ მის გარეშე. ოკეანეები შთანთქავენ ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის დაახლოებით 30 პროცენტს; მაგრამ ჩვენ ახლა მეტ ნახშირორჟანგს წარმოვქმნით, ვიდრე ოდესმე და ამან ოკეანეების მჟავიანობა 26 პროცენტით გაზარდა, სამრეწველო რევოლუციის დასაწყისთან შედარებით. ჩვენი საქმიანობა ძალიან ბევრ ნაგავს წარმოქმნის - 13,000 პლასტიკის ნაჭერი ოკეანის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე. არასასიამოვნოა არა? სასოწარკვეთას ნუ მიეცემით! მდგრადი განვითარების მიზნები განსაზღვრავენ წყალქვეშა სიცოცხლის მართვისა და დაცვის ზომებს.

მიზანი 15

რას აკეთებ დედამიწის ეკოსისტემების დაცვის, აღდგენის, ტყეების გონივრული მართვის, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის შენი შესაძლებლობების გათვალისწინებით?

დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ადამიანები და სხვა ცხოველები დამოკიდებული არიან მიწაზე არსებული სიცოცხლის სხვა ფორმებზე, როგორც საკვებისა და სუფთა წყლის მიღებისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საშუალებაზე. მცენარეთა სამყარო ადამიანის საკვების დაახლოებით 80 პროცენტს უზრუნველყოფს. ტყეები, რომლებიც დედამიწის ზედაპირის 30 პროცენტს შეადგენენ, ხელს უწყობენ ჰაერისა და წყლის სისუფთავისა და დედამიწის კლიმატის ბალანსის შენარჩუნებას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ ცხოველთა მილიონობით სახეობა ბინადრობს. მაგრამ დედამიწა და მასზე არსებული სიცოცხლე ახლა განსაცდელშია, სახნავ-სათესი მიწა 30–35-ჯერ უფრო სწრაფად ქრება, ვიდრე ოდესმე, იზრდება უდაბნოების ფართობი, გადაშენების გზაზეა ცხოველთა ჯიშები. ჩვენ შეგვიძლია შემოვაბრუნოთ ეს ტენდენცია. საბედნიეროდ, მდგრადი განვითარების მიზნები ითვალისწინებს სახმელეთო ეკოსისტემის - ტყეების, ჭაობების, უდაბური ადგილების კონსერვაციასა და აღდგენას 2020 წლისათვის.

მიზანი 16

შენი აზრით, როგორ შეიძლება
მშვიდობის მიღწევა?

მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე

როგორ შეიძლება განვითარდეს ქვეყანა - როგორ შეუძლიათ ადამიანებს, იკვებონ, ასწავლონ და ისწავლონ, იმუშაონ და შეინახონ ოჯახი მშვიდობის გარეშე? და როგორ იქნება ქვეყანაში მშვიდობა სამართლის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მთავრობის გარეშე? მსოფლიოს ზოგ რეგიონში მშვიდობა და სამართლიანობა მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია და ადამიანები ამას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან, თუმცა სხვაგან შეიარაღებული კონფლიქტები, დანაშაული, წამება და ექსპლუატაცია აფერხებს განვითარებას. მშვიდობისა და სამართლიანობის მიზნისაკენ ყველა ქვეყანა უნდა ისწრაფოდეს. მდგრადი განვითარების მიზნები ითვალისწინებს ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას და მოუწოდებს მთავრობებსა და საზოგადოებებს, იპოვონ კონფლიქტის მოგვარებისა და საფრთხის თავიდან არიდების გრძელვადიანი საშუალებები. ეს ნიშნავს კანონის უზენაესობის გაძლიერებას, უკანონო შეიარაღების ნაკადების შემცირებასა და განვითარებადი ქვეყნების გლობალური მმართველობის ცენტრში მოქცევას.

მიზანი 17

რა მნიშვნელობა აქვს შენთვის პარტნიორობას, მეგობრობასა და მიზნების მისაღწევად ერთობლივ ძალისხმევას? ვისთან ერთად ისურვებდი შენი მიზნების განხორციელებას?

პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

მდგრადი განვითარების მიზნები სავალდებულოდ გასაკეთებლ საქმეთა საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს წარმოადგენს, ასე არ არის? ხანდახან სურვილი გიჩნდება, აღაპყრო ხელები და თქვა: „დაივიწყე, ეს ვერ შესრულდება! საერთოდ, რატომ უნდა ვეცადო“! მაგრამ ჩვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ინტერნეტის, მოგზაურობისა და გლობალური ინსტიტუტების წყალობით დღეს მსოფლიოს ქვეყნები უფრო მეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ოდესმე. სულ უფრო მეტად ვლინდება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ერთად მუშაობის საჭიროება, ამასთან ერთად არც მდგრადი განვითარების მიზნებია უმნიშვნელო მოვლენა. ამ მიზნებზე 193 ქვეყანა შეთანხმდა. წარმოუდგენელია, არა? 193 ქვეყანა რამეზე შეთანხმდა? საბოლოო მიზანი გულისხმობს ერების მიერ ყველა სხვა მიზნის მიღწევას.